შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№13 (10.021)

23 – 30 აპრილი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ქრისტე აღდგა! - მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო.

ყველამ ვიცით, რა რთული პერიოდი უდგას ახლა სამყაროს, რადგან ჩვენს თვალწინ, ხილულად ხდება სიკეთისა და ბოროტების, სიკვდილისა და სიცოცხლის ჭიდილი. უფლის შეწევნით ყველა განსაცდელი წავა და უფლის შექმნილ ამ საოცარ პლანეტაზე კვლავაც მშვიდობა და სიხარული დაისადგურებს.

აღდგომა სიცოცხლის სიკვდილზე, სინათლის სიბნელეზე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზეიმია, ამიტომაც, ის ყველა დღესასწაულზე მაღლა დგას. ხშირად ვიმეორებ, რომ ჩემთვის განსაკუთრებულ მოვლენას ზეციური ცეცხლი წარმოადგენს, რომელიც აღდგომის დღეს მაცხოვრის საფლავზე გადმოდის და ამ დღესასწაულის ბრწყინვალებას კიდევ უფრო მეტ ელფერს სძენს. ჩემთვის ზეციური ცეცხლი არის იმის სიმბოლო, რომ ჩვენი ცოდვებისთვის ჯვარცმული უფალი მუდამ ჩვენთანაა. ეს ცეცხლი ჩემთვის ასევე არის სიყვარულით ანთებული გულების სიმბოლოც. იქ კი, სადაც სიყვარულია, სიძულვილი მარცხისთვისაა განწირული. ამიტომაც მოგიწოდებთ, გვიყვარდეს ერთმანეთი და ვაკეთოთ სიკეთე. უფლის მადლი არ მოკლებოდეს ჩვენს პატარა, ლამაზ, ერსა და მის შვილებს. ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!-ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებთ.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ნუგზარ პაპიაშვილი

ქრისტე აღდგა!-ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე! მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ !

ჩვენმა უფალმა მკვდრეთით აღდგომით კაცობრიობას მისცა რწმენა და იმედი, რომ ამ სამყაროში ბნელი და ბოროტი ვერასოდეს სძლევს ნათელსა და კეთილს. ასევე იმედი იმისა, რომ სიცოცხლე მარადიულია და მისი დამარცხება შეუძლებელია. ამიტომაც აღდგომა არის სიცოცხლის, სიკეთის, განახლებისა და სინათლის უძლეველობის სიმბოლო.

არავის უნდა დაავიწყდეს, რომ ბოროტის კეთებას მისთვის მხოლოდ დროებითი სარგებლის მოტანა შეუძლია, რადგან სამყაროში მარადიულია მხოლოდ სიცოცხლე, სიკეთე და ყველა ის ფასეულობა, რომელიც განკაცებულმა და ჯვარცმულმა მაცხოვარმა გვიქადაგა. ამიტომ, უნდა ვიცხოვროთ მხოლოდ ღვთის სიყვარულითა და ჭეშმარიტი, ქრისტიანული ღირებულებებით.

მჯერა, უფლის შეწევნით სამყაროში მალე დაისადგურებს მშვიდობა და მწუხარებაც სიხარულად შეიცვლება.

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ მაცხოვრის აღდგომას გილოცავთ, მეგობრებო. ამ დღის ღვთიური მადლი შეეწიოს ჩვენს ოჯახებს, სრულიად საქართველოსა და სამყაროს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს

21 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი დედოფლისწყაროს სათნოების სახლს ესტუმრნენ, მის ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და წინასააღდგომო ნობათიც გადასცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „დღეს ჩვენ მოვედით სათნოების სახლში და ჩვენს ბენეფიციარებს მივულოცეთ დამდეგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ ამ ადამიანებს, რომელთაც ძალიან უჭირთ, გავულამაზოთ უფერული დღეები. დღევანდელი დღეც ამისი დასტურია. მაჟორიტარ დეპუტატთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად მოვედით და გადავეცით მათ სიმბოლური საჩუქრები - პასკა, წითელი კვერცხები, ტკბილეული, უალკოჰოლო სასმელი და სანთლები“.

დავით სონღულაშვილი: „მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ხშირად ჩამოვიდე დედოფლისწყაროში და პირადად მქონდეს მოსახლეობასთან შეხვედრები. ვფიქრობ, რომ ახლო კონტაქტი აუცილებელია, რათა ვიცოდე ყველა პრობლემა, რომელიც მათ აწუხებთ და ყურადღების ქვეშ იყოს ყველა საკითხი, რომელიც დედოფლისწყაროელებისთვის აქტუალურია. დღევანდელი ვიზიტის მიზანიც სწორედ ესაა. ჩემი ვიზიტი აღდგომის ბრწყინვალე დღეასწაულს დაემთხვა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო კაცობრიობის უდიდესი დღესასწაული- აღდგომა, რომელიც არის განახლების, ბოროტებაზე- სიკეთის, სიკვდილზე- სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლო“.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლში 200 სოციალურად დაუცველი ყოველდღიურად იღებს საკვებს. მათ მადლობა გადაუხადეს მოსულ სტუმრებს ყურადღებისათვის, საჩუქრებისთვის და პირადი პრობლემების შესახებაც ისაუბრეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

უწყვეტი წყალმომარაგებისთვის პროექტები ხორციელდება

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქალაქ დედოფლისწყაროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 14 სოფლის: ხორნაბუჯის, სამრეკლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, თავწყაროს, ჭოეთის, საბათლოს, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, გამარჯვების, არბოშიკის, ზემო მაჩხაანის და მირზაანის 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად სამშენებლო სამუშაოებს აქტიურად განაგრძობს.

შესრულებული სამუშაოები წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილემ, აკაკი მშვიდობაძემ, დედოფლისწყაროს მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა და მშენებლობის პროგრესი შეაფასა. აკაკი მშვიდობაძე მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობასაც შეხვდა და ადგილობრივებს პროექტის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე ინფორმაცია მიაწოდა.

„წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით ქალაქ დედოფლისწყაროსა და 14 სოფელში აქტიურად მიმდინარეობს წყლის სისტემების მშენებლობა. პროექტების ჯამური ღირებულება 58 მილიონი ლარია. სამუშაოები ეტაპობრივად 2023 წლის ბოლოსთვის დასრულდება. შედეგად 21 000 ბენეფიციარს ექნება შესაძლებლობა, რომ უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლოს.“ - განაცხადა აკაკი მშვიდობაძემ.



„აქტიურად მიმდინარეობს დედოფლისწყაროს 24-საათიანი წყალმომარაგების სამუშაოები. გარდა იმისა, რომ მდინარე ივრიდან დედოფლისწყარომდე ამოსასვლელი მაგისტრალის მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდება, ელექტროენერგიის ხაზიც გაკეთებულია, ახლა იწყება უკვე სატუმბი სადგურების მშენებლობა და პარალელურად, სოფელ სამრეკლოში და ქალაქ დედოფლისწყაროში ხდება დაზიანებული და მოძველებული მრიცხველების გამოცვლა, რაც ამ დიდი პროექტის ნაწილია. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების პირდაპირპროპორციულად შემიძლია თამამად ვთქვა, რომ წლევანდელი, 2022 წლის გაზაფხული-ზაფხული იქნება ბოლო პერიოდი დედოფლისწყაროს ისტორიაში, როცა პრობლემები იქნება წყალმომარაგების თვალსაზრისით და გრაფიკი წყალზე. მომავალი წლიდან კი

დედოფლისწყაროელები წყალს უწყვეტ, 24-საათიან რეჟიმში მიიღებენ“-აცხადებს დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

პროექტის ფარგლებში ასევე, მოეწყობა წყალმომარაგების სრულიად ახალი, ცენტრალიზებული სისტემა. დაგეგმილია რეზერვუარების, ჭაბურღილების, სატუმბო სადგურებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაციამშენებლობები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამას გაეცნენ

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებსა და ადგილობრივ ფერმერებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობა და მონაწილეობის პირობები გააცნო.

პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურების გავლით, ფერმერებს შეუძლიათ აღნიშნულ მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული საძოვრებით ისარგებლონ. კახეთის მხარეში, ამ ეტაპზე, იდენტიფიცრებულია 610 საძოვარი, საერთო ფართობით 26 212 ჰექტარი, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 11382 ჰექტარი.

სახელმწიფო პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, საძოვარი აუქციონის გზით მიიღონ მხოლოდ მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელმა ფერმერებმა და 3-წლიანი იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განკარგონ. აუქციონში მონაწილეობას მიიღებენ წინასწარ შერჩეული პრეტენდენტები. საძოვრების გადაძოვებისგან დასაცავად, პროგრამაში ჩადებულია დამცავი მექანიზმი ერთი სული საქონლისთვის ზღვრული დატვირთვის ნორმის სახით. ერთ სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის განსაზღვრულია არანაკლებ 1 ჰა და არაუმეტეს 1.5 ჰა საძოვარი ან/და ერთ სულ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის - არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა.

დღეისათვის, უკვე გამოქვეყნებულია 116 საძოვრის მონაცემები სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან, საერთო ფართობით - 14786 ჰექტარი; განაცხადების რეგისტრაცია დაწყებულია და 26 აპრილს დასრულდება. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (www.mepa.gov.ge) და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდებზე (www.land.gov.ge). ხელმისაწვდომი საძოვრების სია ეტაპობრივად განახლდება.

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში კრედიტები კვლავ გაიცემა

ერთწლოვანი კულტურების მოყვანის ხელშეწყობისთვის, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, 22 მარტიდან დღემდე, 20 მილიონი ლარის ღირებულების სესხებია გაცემული. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში, აღნიშნული მიმართულებით სესხების გაცემის მიზანია, ფერმერებს შეუმცირდეთ ერთწლოვანი კულტურების მოყვანისას საბრუნავი საშუალებების ხარჯი და შესაძლებლობა მიეცეთ მოიყვანონ მეტი ხარისხიანი აგროპროდუქტი.

ახალი ინიციატივა სოციალურად დაუცველებისთვის

2022 წლის 1 ივნისიდან, სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიური დახმარების სახით 150 ლარს მიიღებენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სოციალური დახმარება გასულ წელს უკვე გაორმაგდა და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

აღნიშნული დახმარებას 215 000 ბავშვი მიიღებს. პროგრამის ბიუჯეტი 341 მილიონი ლარია.

გამარჯვებული პროექტები ცნობილია

ცნობილი გახდა „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ მიერ გამოცხადებული საპროექტო განაცხადების საბოლოო შედეგები. დედოფლისწყაროში დაფინანსებული 5 პროექტიდან 3 ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეკუთვნის. ეს პროექტებია:

1. „მეცნიერთა და დებატების კლუბი“ - პროექტის იდეის ავტორი და ხელმძღვანელი ჯაბა ჯამასპიშვილი.
2. „ინგლისური მარტივად“ - პროექტის იდეის ავტორი ჯაბა ჯამასპიშვილი, ხელმძღვანელი ანა ჯამასპიშვილი.
3. „ჯანსაღი და სუფთა გარემო“ - პროექტის იდეის ავტორი ჯაბა ჯამასპიშვილი, ხელმძღვანელი ნინო მარტყოფლიშვილი.

პროექტების ჯამური ღირებულება 2580 ლარია. პროექტების განხორციელების ფარგლებში მოეწყობა გახსნისა და შეძენილი ინვენტარის პრეზენტაცია, ფილმის ჩვენებები, სკოლისა და სოფლის სასაფლაოების დასუფთავების აქციები, დარიგდება საინფორმაციო ბროშურები, მოეწყობა სპექტაკლები და ა.შ. ჩამოყალიბებული კლუბების წევრები კვირაში მინიმუმ ერთხელ შეიკრიბებიან და მოაწყობენ შეხვედრებს და გაიღრმავებენ ინგლისური ენის ცოდნის დონეს.

პროექტის თანახელმძღვანელები არიან: თამარ ბენაშვილი, გიორგი ბოსტოღანაშვილი, ზურაბ უსენაშვილი, რობიზონ ოზბეთელაშვილი, მარიამ ყურაული, ნიკოლოზ იაკობიშვილი, მარიამ ჯანაშვილი და მირანდა მათეშვილი.

***

დედოფლისწყაროში პროექტებს შორის მოხვდა ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის პროექტიც: „ქურციკის მოგზაურობა“ - ავტორი გიორგი პაპაშვილი და თანამონაწილეები ანასტასია ჩუბინიძე და გიორგი სეხნიაშვილი.

მეხუთე გამარჯვებული პროექტია „არაფორმალური განათლება წარმატების საწინდარია“ - ავტორი ქეთი გივიშვილი (დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა).

„კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“

2021-2022 სასწავლო წლის 17 აპრილს, ინგლისური ენის მასწავლებლებმა **ეკა სეფიაშვილმა და ნაირა უთრუთაშვილმა** სასკოლო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის დესპანები” ფარგლებში, მე-7 და მე-8 კლასებში მოაწყეს ტური, რომელიც მოიცავდა „არწივის ხეობის” დალაშქვრას და „საკემპინგე“ ლოკაციაზე ვიზიტს.

გასვლითი ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეებში გარემოს დაცვითი

ცნობიერების ამაღლება და ბუნების ძეგლის გაცნობა - გაფრთხილება. მოსწავლეებმა მოისმინეს სემინარი ხეობის ბიომრავალფეროვნებაზე და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე.

ტური შედგა მშობლებთან ერთად, სწორედ მათი ხელშეწყობით განხორციელდა პროექტის მიზნები. მასშტაბურ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კლასის დამრიგებლებმაც. დალი ბენაშვილი და ნანა წიკლაური ახლდნენ ტურის ორგანიზატორ მასწავლებლებს.

„საუკეთესო მეცადინეობათა შორის საუკეთესო“

გასულ კვირას, არბოშიკის საჯარო სკოლას „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები ესტუმრნენ. უფრო კონკრეტულად კი „სკოლები, როგორც სოციალური მოდელი - გაუმჯობესებული წვდომა ყველა სკოლის მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე“ პროექტის პროფესიონალი ორგანიზატორები. „საუკეთესო მეცადინეობათა შორის საუკეთესო“ - ასე შეაფასეს ორგანიზატორებმა არბოშიკის საჯარო სკოლის დებატკლუბის მუშაობა, რომლის ხელმძღვანელის, ჯუნა ნატროშვილის ***მიერ ჩატარებულმა შეხვედრამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ორგანიზატორების განცხადებით, შთაბეჭდილებებს უფრო ამძაფრებდა მოსწავლეების განსაკუთრებული აქტიურობა და სკოლის დირექციის საოცარი მხარდაჭერა.***

დებატკლუბის მნიშვნელობაზე, მასში ჩართულ მხარეებზე, მიზნებსა თუ ამოცანებზე არბოშიკის საჯარო სკოლის დებატკლუბის ხელმძღვანელს ჯუნა ნატროშვილს გავესაუბრეთ. მისი თქმით, „დებატების კლუბის პროგრამა ხელს შეუწყობს მასწავლებლის მიერ საკუთარ სკოლაში ჩამოყალიბებულ დებატების კლუბში საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, საგანმანათლებლო ფორმალური დებატების სწავლების გზით. სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შორის: სოციალურად დაუცველი ოჯახების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების“.

აღსანიშნავია ისიც, რომ არბოშიკის საჯარო სკოლის დებატკლუბმა, რომელიც სულ რაღაც თებერვლის თვეში ჩამოყალიბდა და მხოლოდ ორი თვეა რაც ფუნქციონირებს, უკვე გამოიწვია ინტერესი და აღფრთოვანება პროექტის ორგანიზატორების მხრიდან. როგორც ხელმძღვანელი ჩვენთან საუბარში ამბობს, **„კლუბში ჩასართავად გასაუბრება გაიარა საბაზო საფეხურის მე -7, მე -8, მე- 9კლასების მოსწავლეებმა.“**

დავინტერესდით იმითაც, თუ რა არის დებატკლუბის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ჯუნა ნატროშვილი: „დებატკლუბის მიზანი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, მსჯელობისა და სიტყვით გამოსვლის უნარჩვევის განვითარებაა. დებატკლუბში მოსწავლეები ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ურთიერთპატივისცემასა და სხვისი აზრის დაფასება-შეფასებას.“

არბოშიკის საჯარო სკოლის დებატკლუბი ჩართულია თქვენ „სკოლები, როგორც სოციალური მოდელი - გაუმჯობესებული წვდომა ყველა სკოლის მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე“ პროექტში. კითხვაზე, თუ რატომაა ის მნიშვნელოვანი მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, ზოგადად სკოლისთვის და რა უნარების განვითარებას ემსახურება ის, კლუბის ხელმძღვანელი გვპასუხობს: **„ეს პროექტი უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის და არა მხოლოდ მათთვის. პირადად ჩემთვისაც კი, როგორც მასწავლებლისთვის, ეს პროექტი დიდი გამოწვევაა, ძალიან საინტერესო კუთხით დავინახე საკუთარი თავი და შესაძლებლობები. მოსწავლეებისთვის კი იმდენად საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ სიამოვნებით და აქტიურად ესწრებიან კლუბის შეხვედრებს.“**

ქალბატონ ჯუნას ასე მოკლე დროში მიღწეული წარმატების მიზეზებსა თუ მამოტივირებელ ფაქტორებზეც ვესაუბრეთ. **„ჩემთვის მამოტივირებელი აღმოჩნდა განსხვავებულ ფორმატში მუშაობა. როგორც აღვნიშნე კლუბში მონაწილეობენ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, ისინი საოცარ უნარებს ამჟღავნებენ და სწორედ ამიტომ, ძალიან საინტერესოა მათთან მუშაობა. პროექტის ხელმძღვანელების მიერ უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობთ. გვაქვს საინტერესოდ შედგენილი პროგრამა და რესურსები. ვფიქრობ, სწორედ ეს არის წარმატების მიზეზი.“**

კლუბის ხელმძღვანელი, იმ ახალგაზრდებსაც მიმართავს, რომლებსაც ჯერ კიდევ სჭირდებათ გამბედაობა და მოტივაცია, იმისთვის, რომ შემოუერთდნენ დებატკლუბს. **„დებატკლუბი იმდენ კარგ, საჭირო და მნიშვნელოვან უნარს ავითარებს, რომ მოსწავლეებს ის სხვადასხვა საგნის უკეთ დაძლევაშიც დაეხმარება. ამიტომ ვურჩევ მოსწავლეებს კლუბში გაწევრიანების შანსი ხელიდან არ გაუშვან. გარდა ამისა, პროექტის პროფესიონალი ორგანიზატორები აქტიურად ახორციელებენ სუპერვიზირებას. სუპერვიზირების მიზანი კი მასწავლებელთა დახმარებაა. ისინი აკვირდებიან თუ როგორ მიმდინარეობს დებატკლუბის მუშაობა. ეს საოცრად ორგანიზებული სისტემაა და სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, წარმატებას ყოველთვის მიაღწევს.“**

ასევე გასულ კვირას, დებატკლუბისთვის საჭირო მასალების გადაცემა და სუპერვიზირება ჩატარდა პროექტის „სკოლები, როგორც სოციალური მოდელი - გაუმჯობესებული წვდომა ყველა სკოლის მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე“ ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

***საგანმანათლებლო დებატების სწავლება, პოპულარიზაცია და გავრცელება საქართველოში,სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დებატების კლუბების შექმნის**

***წახალისებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის გზით;**

***საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაში მონაწილეობა მიზნობრივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, სასწავლო პროგრამების შექმნის, სააკრედიტაციო სისტემის ფორმირებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების გზით;**

***სკოლის მოსწავლეების, და სტუდენტებისათვის დებატების სწავლებისა და მათთვის სპეციალური შეჯიბრებების, ტურნირების თუ საგანმანათლებლო ბანაკების მოწყობის საშუალებით სრულფასოვანი და თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;**

***საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებაში მონაწილეობა. ასევე, დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების პოპულარიზაცია და საზოგადოების წარმომადგენლებამდე მიტანა**

***მათი მისიაა, ხელი შეუწყონ როგორც ახალგაზრდებში, ასევე ზრდასრულებში გამართული და დასაბუთებული მსჯელობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, საგანმანათლებლო/ ფორმალური დებატების სწავლების გზით. საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის დამფუძნებლები და გამგეობის წევრები 1998 წლიდან ასწავლიან ფორმალურ დებატებს საქართველოში, გააჩნიათ საერთაშორისო ტურნირებზე მსაჯობისა და ტრენინგების ჩატარების გამოცდილება, შექმნილი აქვთ დებატების სასწავლო სახელმძღვანელოები.**

გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს არბოშიკის საჯარო სკოლის დებატკლუბს, მის ხელმძღვანელსა და მასში ჩართულ თითოეულ მოსწავლეს. განვითარებული, წარმატებული და გონიერი თაობა ხომ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტია!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

რა ვიყიდეთ და გავყიდეთ მარტში უკრაინაში?

2022 წლის მარტში ომში მყოფ უკრაინასთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 77%-ით შემცირდა. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, მარტში საქართველო-უკრაინის სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 13 მლნ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 56,869 მლნ დოლარი იყო.

რაც შეეხება კონკრეტულად ექსპორტს, საგარეო ვაჭრობის ანგარიში მიხედვით, მარტში საქართველოს ექსპორტი უკრაინაში მხოლოდ 1,839 მლნ დოლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 24,6 მლნ დოლარით, ანუ 93%-ით ნაკლებია. 2021 წლის მარტში უკრაინაში ექსპორტი შეადგენდა 26,487 მლნ დოლარს.

ექსპორტთან ერთად შემცირებულია იმპორტიც, მარტში საქართველოში სულ 11.2 მლნ დოლარის ღირებულების უკრაინული პროდუქცია შემოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 19.1 მლნ ანუ 63%-ით ნაკლებია. შარშან მარტში უკრაინიდან იმპორტის მაჩვენებელი 30,382 მლნ დოლარი იყო.

„ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციის საფუძველზე გთავაზობთ 5 პროდუქტს, რომელიც საქართველომ 2022 წლის მარტში ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდა და გაყიდა:

ექსპორტი:

•პირადი მოხმარების ნივთები - 1,308 მლნ დოლარი

•მსუბუქი ავტომობილები - 256,2 ათასი დოლარი

•ბოსტნეული სხვა, ახალი ან გაყინული - 161,3 ათასი დოლარი

•წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით - 26,7 ათასი დოლარი

•მინერალური და მტკნარი წყლები - 22,6 ათასი დოლარი

იმპორტი:

•კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას - 3,648 მლნ დოლარი

•სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან - 1,435 მლნ დოლარი

•ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები - 786 ათასი დოლარი

•სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - 319,7 ათასი დოლარი

•საცობები, ხუფები და სახურავები - 307,2 ათასი დოლარი

ვინ შეძლებს მიწების უფასოდ ჯაკანონებას ?

„მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში დაიწყო“ - ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. მოქალაქეებს შეეძლებათ, მიწის ნაკვეთები სრულიად უფასოდ დაიკანონონ. აღნიშნული ცვლილება თვითმმართველ ქალაქებს არ ეხებათ. რეფორმის შესახებ თამარ კერძაია, ასოცირებული პროფესორი გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“ დეტალურად ისაუბრა:

- ძალიან გავრცელებული შემთხვევაა, რომ ადამიანები, მათი წინაპრები მიწას ფლობდნენ, სარგებლობენ, ზოგს სახლი აქვს აშენებული, ზოგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს, მაგრამ არავითარი საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთებზე არ აქვთ. ძირითადად, ორი შემთხვევაა - ან რეგისტრირებული არ არის ოფიციალურად, ან საერთოდ არ არსებობს რაიმე საბუთი ან დოკუმენტი. ოდესღაც თვითნებურად დასახლდა წინაპარი, გავიდა წლები, მაგრამ არავითარი უფლება ამ მიწის ნაკვეთზე არ აქვთ. ეს ძალიან ხშირი შემთხვევაა. ასეთი ადამიანებისათვის კარგი ინფორმაცია გვაქვს. დაიწყო სისტემური რეგისტრაცია საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში, რაც გულისხმობს შემდეგს: საჯარო რეესტრის წარმომადგენლები გაწერილი განრიგის მიხედვით, ჩავლენ ადგილზე, აღრიცხავენ მიწებს, საკადასტრო ნახაზებს აიღებენ, დოკუმენტაციას გამოითხოვენ.

- ეს კანონი თვითნებურად დაკავებულ მიწებზე ვრცელდება?

- ეს კანონმქვემდებარე აქტი ასევე მოქმედებს თვითნებურად დაკავებულ მიწებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, სხვისი საკუთრება არ უნდა იყოს და სხვის საკუთრების უფლებას არ უნდა ხელყოფდეს. საუბარია, როდესაც სახნავ-სათესად იყენებდნენ წინაპრები. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც შენობა იყოს აგებული ამ მიწის ნაკვეთზე.

- თუ არის დამოკიდებული, რამდენი ხანია სარგებლობს ამ მიწის ნაკვეთით ადამიანი?

- წლები არ არის დადგენილი, მაგრამ თუკი ადამიანს არავითარი დოკუმენტაცია არ აქვს, რომ ამ მიწას ფლობდა ან სარგებლობდა, აქ უკვე მეზობლების სანოტარო აქტით დამოწმებული თანხმობებია საჭირო, რომ აღნიშნული ადამიანი წლების განმავლობაში ნამდვილად იყენებდა და არა ამ კანონის გამოცხადების შემდეგ გადაწყვიტა, რომ მაგალითად, წყნეთში კარგი ნაკვეთი აიღოს. ადრე გამგებელი გასცემდა ცნობას, თუმცა ეს პროცესი გარკვეული ხარვეზით მიმდინარეობდა. ახლა კომისია ჩავა ადგილზე. თუკი არანაირი დოკუმენტით არ დგინდება საკუთრება და მფლობელობა აღნიშნულ ნაკვეთზე, მაშინ მეზობლების ჩართვა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოხდება, რომ ნამდვილად დადგინდეს, რომ პირი წლების განმავლობაში იყენებდა ამ მიწის ნაკვეთს.

- მიწის ფართობში თუ არის რაიმე ლიმიტი?

- თვითნებურად დაკავებული მიწების შემთხვევაში, როდესაც მათი დაკანონება ხდება, გარკვეული შეზღუდვა არსებობს. მაღალმთიან რეგიონებში ერთ ფიზიკურ პირზე ეს არის მაქსიმუმ 5 ჰექტარი, ხოლო არამაღალმთიან რეგიონებში ეს გახლავთ 1,25 ჰექტარი, რაც შეუძლია ადამიანს, რომ საკუთრებაში დაიკანონოს.

- გარკვეული განაცხადის საფუძველზე ხდება, თუ ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს რეგისტრაცია?

- სისტემატური რეგისტრაციის ფარგლებში, გაწერილი განრიგის მიხედვით, კონკრეტულ რეგიონში ჩასვლა და ყველა მიწის აღწერა მოხდება. მაგრამ, თუკი მიწის ნაკვეთის მფლობელი მანამდე მიმართავს საჯარო რეესტრს, რომ დაკანონება სურს, მას 300 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის შემთხვევაში, 600 ლარი უნდა გადაიხადოს. ამიტომ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სისტემური რეგისტრაცია დაიწყო. შეუძლიათ, დაელოდონ და ტყუილად არ გადაიხადონ თანხა. ეს პროცესი სულ 2 წელი გრძელდება, 2024 წლის ბოლომდე დასრულდება და თუ აუცილებლობა და საჩქარო არ არის, საჯარო რეესტრის მიერ სრულიად უფასოდ ხდება ამ მომსახურების გაწევა და ადამიანები არც 300 და 600 ლარს იხდიან.

ამავე თემაზე ისაუბრა საჯარო რეესტრის თავმჯდომარემ, **ოლეგ (ბაჩო) თორთლაძემ** საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში:

- სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, როდესაც სახელმწიფო თავისი ინიციატივით მიდის მოქალაქესთან, აზომავს მიწის ნაკვეთს, მოიძიებს ყველა შესაბამის დოკუმენტს და არეგისტრირებს. ჩვენს შემთხვევაში, ეს მოქალაქისთვის სრულიად უფასო გახლავთ. ერთადერთი, რაც მოქალაქეებმა ამ შემთხვევაში უნდა გააკეთონ, არის ის, რომ საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს დაელოდონ.

- ვინც ემიგრაციაში იმყოფება, მათთვის როგორ ხდება რეგისტრაცია?

- იქიდან გამომდინარე, რომ პროცესი სრულად ელექტრონულია, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ დისტაციურად და ამ პროცესში მიიღონ მონაწილეობა. ასევე, მათი ოჯახის წევრების ადგილზე ყოფნა სრულიად საკმარისია, რომ ჩვენ ყველა პროცედურა შევასრულოთ.

სისტემური რეგისტრაციის პროცესი რამდენიმე ფაზისგან შედგება. უპირველესად გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში არსებული დოკუმენტაციის მოძიებას, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, ისტორიული სურათი აღვადგინოთ. ამის შემდგომ მობილიზაციის, ანუ სოციალური კამპანიის პროცესი წარიმართება, როდესაც მოქალაქეებთან ადგილზე მივდივართ და ვაცნობებთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ სააგენტო უკვე ასაზომად მივა. ამას მიწის აზომვის უშუალო პროცესი მოჰყვება. მას შემდეგ, რაც აიზომება მიწის ნაკვეთი, ინფორმაცია მუშავდება და საჯაროდ ცხადდება. საჯაროდ გამოცხადების ფაზაში ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ნახონ რა გეოგრაფიული მოხაზულობით და რა სამართლებრივი მოცემულობით რეგისტრირდება კონკრეტული მიწის ნაკვეთი. იმ შემთხვევაში, თუ მათ საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნიათ, შეიძლება ეს იყოს მეზობელი ან სხვა პირი, შეეძლებათ დააფიქსირონ პოზიცია. ამის შემდგომ სააგენტო ამუშავებს მასალას და საბოლოოდ მიწის ნაკვეთი რეგისტრირდება. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში პროცესი დაახლოებით სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განგვიცხადეს, 2024 წლამდე მუნიციპალიტეტების მიხედვით, ზუსტადაა გაწერილი ის დრო, როცა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები დაიწყება. დეტალურ განრიგის გასაცნობად, ასევე, დამატებითი შეკითხვებისა და ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, შეგიძლიათ მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 2 405 405

ინიციატივა-იდენტობის შენარჩუნებისთვის თუ ინიციატივისთვის?!

დედაენის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საზოგადოებას ახალი ინიციატივა წარუდგინა. პრეზიდენტი სკოლაში მეგრული და სვანური ენების არჩევითი სწავლების შემოღების წინადადებას აყენებს.

პრეზიდენტმა გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი და ილაპარაკა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგებზე. „სახელმწიფო ენის დღე ეკუთვნის იმ უმნიშვნელოვანესი თარიღების რიგს, რითაც საქართველომ შეძლო საკუთარი მეობის შენარჩუნება, სახელმწიფოებრიობის გადარჩენა, გაძლიერება და რითაც დღემდე მოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ 1978 წლის 14 აპრილით იწყება ჩვენი მსვლელობა საბჭოთა ოკუპაციისგან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ. კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა და არდათმობა, რომელმაც შვა ეროვნული მოძრაობა, უტოლდება სხვა ისტორიულ თარიღებს და გამარჯვებებს - 1917 წელს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, 1918 და 1991 წლებში დამოუკიდებლობის აქტების მიღებას. ამ გამარჯვებაზე დგას დღესაც ჩვენი სახელმწიფო. 221 წელი კი ეცადა რუსეთი საქართველოსთვის წაერთმია სახელმწიფოც, ენაც და დამოუკიდებლობაც, თუმცა რუსიფიკაციასთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველომ შეძლო დამოუკიდებლობასთან ერთად გადაერჩინათ თავისი 16 საუკუნოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, შეენარჩუნებინა სამი ქართული ანბანი და ამავე დროს მოეხდინა ქართული ენის მოდერნიზაცია", - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფო ენების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაზე. „ქართული კულტურის წინააღმდეგ ომს რუსეთი აგრძელებს დღეს აფხაზეთში. რუსული საოკუპაციო რეჟიმის შედეგად აფხაზეთში ერთნაირად იზღუდება, როგორც აფხაზური, ასევე, ქართული ენები. წლიდან წლამდე მცირდება აფხაზურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი. გალსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართველებს კი ეკრძალებათ ქართულ ენაზე სასკოლო განათლების მიღება", - აღნიშნა მან.

როგორც ზურაბიშვილმა განაცხადა, ქართული და აფხაზური ენების დაცვასთან ერთად, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია, „გვევალება მეგრულის, სვანურის, ჭანურისა და ლაზურის დაცვა და გადარჩენისთვის ზრუნვა, რამეთუ ეს ენები განუყოფელი ნაწილია ჩვენი კულტურის და წარმოადგენენ უნიკალურ სიმდიდრეს. ამას შევძლებთ, თუკი სკოლაში არჩევითი სწავლების უფლებას დავაწესებთ პირველ რიგში მეგრულისა და სვანურისათვის" [სტილი დაცულია].

სალომე ზურაბიშვილმა ილაპარაკა კავკასიური ენების მძიმე მდგომარეობის შესახებაც და განაცხადა, რომ იუნესკოს კავკასიური ენების დაცვის დღის გამოცხადებისთვის მიმართა. „დედაენის დღეს საზოგადოებას კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ სწორედ რუსიფიკაციის 200-წლოვანი პოლიტიკის შედეგია, რომ კავკასიურ ენათა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს გაქრობის საფრთხის წინაშეა. ეს, როცა კავკასია თავისი მრავალფეროვნებით ანტიკური დროიდან აკვირვებდა მსოფლიოს და არაბები მას ეძახდნენ ენათა მთას. ეს სიმდიდრეც ჩვენი დასაცავია და ამისთვის მივმართეთ იუნესკოს, რათა კავკასიური ენების დაცვის დღე გამოაცხადოს", - თქვა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ინიციატივას სკოლაში მეგრული და სვანური ენების არჩევითი სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. გაქრობის საფრთხე, რომ აშკარაა, ამას იუნესკოს ჩანაწერიც ადასტურებს, სადაც ენების ატლასში მეგრულსა და სვანურს მინიჭებული აქვთ კატეგორია Definitely endangered (ცხადად გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი), რაც განიმარტება ენად, რომელსაც ბავშვები სახლში, როგორც მშობლიურს აღარ სწავლობენ. გარდა ამისა, გაქრობის საფრთხეზე თავად მეგრელებიცა და სვანებიც საუბრობენ. ისტორიკოსების განმარტებით, ენის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ამ ენაზე სამი თაობა ლაპარაკობდეს. დღეს საქართველოში, 25 წლამდე ახალგაზრდები მეგრულად და სვანურად თითქმის აღარ საუბრობენ. **„ბევრი ამბობს, ჩემ გარშემო ყველამ იცის მეგრული და სვანურიო. ცოდნაზე არაა, გამოყენებაზეა. არსებობს სტატისტიკა, რომ მსოფლიოში კვირაში საშუალოდ ერთი ენა ქრება. ჩვენ ხომ შეგვიძლია ეს შევაფერხოთ"**, - ამბობს „რადიო თავისუფლებასთან" საუბარში ისტორიკოსი ბუბა კუდავა. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მშობლები ბავშვებს სვანურსა და მეგრულს აღარ ასწავლიან, არის აქცენტი. **„ბევრი განათლებული ადამიანიც კი ფიქრობს, რომ აქცენტი სამარცხვინოა. ამ დროს ამაში არაფერია დასაძრახი. თანაც, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ადამიანმა შეიძლება ენა საერთოდ არ იცოდეს, მაგრამ აქცენტი მაინც დარჩეს".**- ამატებს ის.

როგორ შეიძლება მოხვდეს მეგრული და სვანური სასწავლო პროგრამაში?

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნობრივი ჯგუფები, რომელიც სავალდებულო და არჩევით საგნებს აერთიანებს. მაგალითად, სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფში ქართული ენა და ლიტერატურა სავალდებულო საგნად შედის, არჩევით საგნებად კი: „ფოლკლორი და მითოლოგია", „XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა", „მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენები".

მეგრულისა და სვანურის, როგორც არჩევითი საგნების შემთხვევაში, ისინი სწორედ რომელიმე საგნობრივ ჯგუფში უნდა განთავსდეს. რის შემდეგაც მშობლები და მოსწავლეები გადაწყვეტენ, მაგალითად, „XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა" აირჩიონ თუ სვანური ენა. ანუ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლის წინაშე ასეთი არჩევანი დადგება - ისწავლოს ინგლისური ან ისწავლოს მეგრული. ეს ორი რამ ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. უცხო ენა ასევე სავალდებულო საგანია, და იქ არჩევანი ქართველურ და უცხო ენას შორის ვერ იქნება შესაძლებელი. განათლების ექსპერტი თამარ მოსიაშვილი ასევე „რადიო თავისუფლებასთან" საუბარში ამბობს, რომ თუ საგნის სკოლაში შეტანა გადაწყდა, აუცილებელია დაიწეროს საგნის გეგმა, კრიტერიუმები მასწავლებლისთვის, შეიქმნას კურიკულუმი. უნდა გადაწყდეს, ეს ენები რომელ კლასში და რა პერიოდის განმავლობაში ასწავლონ, რას შეიტანენ სახელმძღვანელოებში, რა ცოდნა მოეთხოვება მასწავლებელს და ასე შემდეგ. **„ეს დღეს და ხვალ, ცხადია, ვერ მოხერხდება, მაგრამ სადღაც ორ წელიწადში უკვე შესაძლებელია. რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა აუხსნან, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სხვა რეგიონშიც - მაგალითად კახეთში - იცოდნენ უფრო მეტი ამ ენებზე, ვიდრე ახლა იციან. ჩემთვის ეს არის ქვეყნის ერთიანობა. როგორ შეიძლება მეგრელი ადამიანი ჩიოდეს, ჩემს ენას მხარდაჭერა სჭირდება, რომ არ დაიკარგოსო და ჩვენ ამას ყურადღება არ მივაქციოთ**, - ამბობს თამარ მოსიაშვილი, - **მე მესმის შიშები ჩვენი ქვეყნის ძალიან ცუდი წარსულის გამო, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ კუთხეებზე მიდგება საქმე, სამეგრელო ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ფარია. მათ ძალიან ბევრი დარტყმა მიიღეს, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების კუთხით".** ამავე დროს, მოსიაშვილის თქმით, ქართულ რეალობაში ხშირად სკოლა ამა თუ იმ საგანს იმის მიხედვით ირჩევს, თუ რომელი საგნის მასწავლებელი ჰყავს და რა რესურსი გააჩნია. მომავალშიც შესაძლოა, ერთ სკოლას მეგრულის მასწავლებელი ჰყავდეს, მეორეს - სვანურის.

აირჩევენ თუ არა?

ეს კითხვა როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დავუსვით. როგორ აფასებენ მსგავს ინიციატივას და აირჩევდნენ თუ არა ისინი მეგრულს ან სვანურს თუ ის სასკოლო პროგრამით იქნებოდა შემუშავებული.

ნატო, მშობელი: „რატომაც არა? თუ ჩემს შვილებს სურვილი ექნებოდათ, წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები და არც იმ აზრს ვეთანხმები, თითქოს ის ხელს შეუშლის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სრულყოფილ შესწავლას. თუკი ისინი ცალკე საგნად ისწავლება, რატომ უნდა შეუშალოს ხელი? თუ ამ პრინციპს მივყვებით, ამ შემთხვევაში უცხო ენებსაც სწავლობენ და ქართულის შესწავლას სულ არ უშლის ეს ხელს. პირიქით, ჩვენი ქვეყნის ნაწილია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაა სვანეთიც და სამეგრელოც და არაფერი დაშავდება თუ ისწავლიან. სავალდებულო სწავლებაც რომ იყოს, ამასაც მივესალმები. მე ორივეს ვასწავლიდი, დიდი სიამოვნებით".

მაია, პედაგოგი: „ამ საკითხს არც თუ ისე დადებითად ვუყურებ. შეიძლება მოსწავლეებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი ბავშვები, ვისაც ქართველურ ენათა ჯგუფის შესწავლა პროფესიული კუთხით მოუნდება და ამ შემთხვევაში, ნამდვილად საჭიროა მათთვის ამ ენების საგნობრივად შეთავაზება, საბაზისო ცოდნის კუთხით, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ ვხედავ იმის საჭიროებას, რომ სხვა კუთხის წარმომადგენელმა იცოდეს თუნდაც მეგრული, სვანური. ვერ ვხედავ შემდგომში მისი გამოყენების არეალს. ეს ნება-სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული. გარდა ამისა, არსებობს (და არც თუ ისე მცირე) შანსი იმის, რომ მოხდეს სეპარატიზმის გაღვივება. ეს კი, ისედაც ბუნდოვანი რეალობის ფონზე, ნამდვილად ნეგატიურად აისახება ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე."

ეთერი, პედაგოგი: „ვფიქრობ, ზედმეტია მსგავსი ინიციატივები, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ენის მოფრთხილებაც კი არ ვიცით ქართველებმა. იმ ფონზე, თუ როგორაა ჩვენი ენა დაბინძურებული ჯერ მარტო ბარბარიზმებით, ამ ინიციატივის უბრალოდ გაჟღერებაც კი არასწორი მგონი. არარაფერს ვამბობ მის სისრულეში მოყვანაზე. ვალდებულება ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ყველას, რომ ისწავლოს ეს ენები. სურვილის შემთხვევაში შეიძლება. გარდა ამისა, არ მგონია, რომ ეს ადვილად ათვისებადი იქნება, ვფიქრობ, ბავშვებს გაუჭირდებათ და არც აირჩევენ. და კიდევ, პედაგოგებსაც სჭირდებათ მომზადება, რადგან ეს თითქმის უცხო საგანი იქნება მათთვის და პრაქტიკულად, მათაც შესასწავლი ექნებათ ენის სპეციფიკა, მისი მახასიათებლები, პლუს საგნის კურიკულუმები, გეგმები და ა.შ. "

ეკატერინე, მოსწავლე: „სვანური და მეგრული უძველეს ენებს განეკუთვნებიან. მათი შესწავლა კი, მგონია, დიდი სიამოვნება იქნება. ჩემი აზრით, თუ იქნებოდა შესაძლებლობა, რომ მესწავლა ორი უმშვენიერესი ენიდან ერთ-ერთი მაინც, ძალიან კარგი იქნებოდა. არჩევით საგანს სურვილისამებრ ირჩევს მოსწავლე და ვფიქრობ, რომ აუცილებლად დავინტერესდებოდი ამ საოცარი შესაძლებლობით და უკეთ გავეცნობოდი მოცემულ ორ ენას. რა თქმა უნდა, ეს არ შეუშლის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლას ხელს, რადგან მას არჩევითი სახე ექნება. ბევრი ქართველი კი, ქართული ენის პარალელურად, სწავლობს სხვა უცხო ენას და მათთვის ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო კარგი შესაძლებლობა იქნება თუ ამ უნარს საკუთარი სამშობლოს, კუთხეების ენის შესწავლაში გამოიყენებენ."

ეს ქვეყანა თანაბრადაა ყველასი, განურჩევლად კუთხური კუთვნილებისა. შესაბამისად, თითოეული კუთხის ინდივიდუალურ საჭიროებებს თუ სატკივარსაც სერიოზულად უნდა ეკიდებოდეს ხელისუფალი, იქნება ეს სამეგრელო, სვანეთი, ფშავი თუ აფხაზეთი. გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინონ კონკრეტულ საკითხში ჩართული ყველა მხარის ინტერესი – თუნდაც ეს რადიკალურად მოწინააღმდეგე ან მომხრე იყოს. ამავდროულად, კონკრეტული ინიციატივის მიზნები გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი არგუმენტაციით. არავინ დავოს იმაზე, რომ საქართველოს უნიკალურობა მის მრავალფეროვნებაში და ამ მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტულობაში მდგომარეობს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ლაურა ფროიდენთალერის „მოჩვენებათა ამბავი“

ლაურა ფროიდენთალერის რომანმა „მოჩვენებათა ამბავი“ 2019 წელს ევროკავშირის ლიტერატურული პრემია მიიღო. დღეს კი ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა, ქართულად წაიკითხოს ეს რომანი. ნაწარმოები ქართულად თარგმნა ქართველი მკითხველისთვის უკვე ცნობილმა მთარგმნელმა მაია მირიანაშვილმა. მისი თარგმანების საშუალებით ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, თვალი მიადევნოს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს ევროპაში.

რომანის მთავარი გმირი ანა აბსურდის ადამიანად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან დაეჭვებულია აბსოლუტურად ყველაფერში, მათ შორის, საკუთარ თავში, ახლობელ ადამიანებსა თუ სამყაროში.

ლაურა ფროიდენთალერი კარგად ხატავს, რა აქცევს ადამიანს მარტოსულად, რატომ ვერ ახერხებს უმწეობის გადალახვას, როგორ იქცევა გარემო უდაბნოდ, როგორ იპყრობს ყველასა და ყოველივესგან გაუცხოების განცდა. ცხოვრებაში ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ანას დაკარგულობის მიზეზი კი სიყვარულში დაეჭვებაა. ერთი მხრივ, მის ცხოვრებაში არის მუსიკა, თავისი აბსტრაქტულობით, ირაციონალიზმით, მშვენიერებით, მეორე მხრივ, ცოლქმრულ ურთიერთობაში გაჩენილი ღალატის ბზარები. მუსიკა მას გზას უხსნის იმ შორეული ჰორიზონტებისაკენ, სადაც ყოველგვარი მატერიალური საზრუნავი ფერმკრთალდება და ქრება, მხოლოდ მეტაფიზიკურის შეგრძნებაა, სიმშვიდისა და ჰარმონიის სისავსით. მუსიკალურ ბგერათა გრადაციებითა და მოდულაციებით ანა იჭრება უცნობ სამყაროში, სადაც არ სჭირდება გაერკვეს არსებობის აზრსა და მიზანში. მუსიკის სივრცეში ყოველივეს თავისი ფუნქცია და დანიშნულება გააჩნია, რაც რეალურ ცხოვრებაში ასე აკლია ადამიანს. ანა მასწავლებელია და ცდილობს, ბავშვებსაც შეაყვაროს მუსიკა, ასწავლოს მუსიკალური განზომილების უცნობ ლაბირინთებში ხეტიალი, მუსიკა უქციოს უჩვეულო, განუმეორებელ თავგადასავლად. თვითონაც ცდილობს, რომ ეს საქმე რუტინად არ ექცეს და გამუდმებით ეძიოს რაღაც ახალი, მაგრამ, რადგან აბსურდის გმირად მივიჩნევთ, მისთვისაც უმთავრესად იქცევა შეგრძნება, რომელიც კამიუმ ამგვარ კითხვად ჩამოაყალიბა: **„ღირს თუ არა სიცოცხლე იმად, რომ ადამიანმა ბოლომდე გალიოს“.** კამიუმ ამ კითხვის საპასუხოდ სიზიფეს მითს მიმართა. მან სიზიფე აბსურდის პარადიგმულ გმირად მიიჩნია. სიზიფე აღიარებს ცხოვრების ტანჯვას, რადგან გამუდმებით მიაგორებს ლოდს მწვერვალისკენ, თან ისიც იცის წინასწარ, რომ ისევ ჩამოუგორდება. მაშ, რაღა აძლევს ძალას? კამიუ ფიქრობს, რომ ეს ძალა უბედურების, ყოფის აბსურდულობის აღიარებასა და მასზე მაღლა დგომაშია. მწვერვალზე განცდილი ბედნიერების რამდენიმე წამი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სიზიფემ თავისი მარადიული რუტინა გააგრძელოს. ანასთვის ამგვარ რუტინად ცოლქმრული ცხოვრება ქცეულა. სიყვარულით შექმნილ ოჯახს რაღაც დაემართა. საკუთარი საქმეებით დაკავებულ ანასა და მის ქმარს შორის მანძილი გაჩნდა, რომელიც თანდათან და ისე სწრაფად გაიზარდა, რომ უფსკრულს დაემსგავსა და ახალი რეალობა, ერთგვარი პარალელური სივრცე გააჩინა.

ლაურა ფროიდენთალერი, როგორც მთხრობელი, საინტერესო ნარატიულ სტრატეგიებს მიმართავს იმისთვის, რომ მკითხველმა გმირის გაორებულობით გამოწვეული ტრაგიზმი მთელი დრამატულობით აღიქვას. ანას წარმოსახვით შექმნილი რეალობა, მოჩვენებათა განზომილება, მკითხველს გამუდმებული ეჭვის ქვეშ აყენებს. ნამდვილია თუ წარმოსახული ის, რასაც ანა განიცდის? კითხვისას დაძაბულობას ქმნის და ცნობიმოყვარეობას ძაბავს მოლოდინი, რომ ანამ ქმარი ღალატში უნდა ამხილოს, თუმცა ეს არ ხდება. ეს ღალატი კი წარმოსახულისა და რეალურის მყიფე ზღვარზეა. ქალის ფიქრის ნაკადები იმგვარ მორევს ქმნიან, რომელიც გაურკვევლობას ბადებს. მწერალი შესაძლებელ რეალობასაც ისე ხატავს, როგორც ჩვეულებრივს, ყოფითი ყოველდღიურობის ნაწილს. ამიტომაც ეუბნება ანა მეგობარს: „სავსებით შესაძლებელია, რომ მე ერთ მოჩვენებასთან ერთად ვცხოვრობ“.

ანას თომასის ერთგულებაში არასოდეს ეპარებოდა ეჭვი. კაცის პრაგმატული, რაციონალური დამოკიდებულება ყოველივესთან თითქოს არ ტოვებდა საყვარლისკენ რომანტიკული სწრაფვისთვის ადგილს. ანას სულს, გულსა და გონებას უნდა აეხსნა ცოლქმრული სიცივის მიზეზი, შესაბამისად, უნდა ყოფილიყო სითბოს წყარო, რომელიც თომასის გაყინულ გულს გაათბობდა. როგორც ჩანდა, ეს ანას აღარ შეეძლო. ამიტომ, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა, მიმზიდველი სხვა ქალი, რომელიც ანას ჩაანაცვლებდა. თომასის ურთიერთობა საყვარელთან, მასთან ერთად სეირნობა, კაფეებში სიარული თუ შინ გამართული ვნებიანი სასიყვარულო სცენები ანას თვალწინ მიმდინარეობს. მკითხველიც ამ ყოველივეს თანადამსწრეა. ტროას ცხენის ალუზიით მწერალი ზუსტად წარმოაჩენს ანას ცნობიერებაში გაჩენილ საბედისწერო ბზარებს: „თომასში ინახება სხვასთან გატარებული შაბათ-კვირა, სიხარული, საყვედურები, დამამშვიდებელი სიტყვები, მოფერებითი სახელები, ის ტელეფონის ნომერი, ის მისამართი. ის გოგო ამ ტელეფონშია დამალული. თომასი გამალებით ამოძრავებდა თითებს და რაღაცას წერდა. ანამ მისი თითებიდან მზერა ახლა სახეზე გადაიტანა. თვალების უპეები მოშვებული ჰქონდა კაცს, გამოუძინებლობისგან შიგადაშიგ ამოყავისფრებული. ყოველდღე ამ ტელეფონით შემოჰყავდა თომასს ის გოგო ბინაში. ეს ტელეფონი ტროას ცხენივითაა, რომელსაც თომასი გამუდმებით თვალყურს ადევნებდა. თუ კაცს ღრმად ჩაეძინებოდა, გოგონა საიდუმლო ფანჯარას გახსნიდა და ბინის სიბნელეში შემოიჭრებოდა. ანას თვალწინ ედგა გოგოს სახე: დამცინავი, ცნობისმოყვარე. თომასს შეეძლო დიდხანს უძილოს გაეძლო, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დაეძინა?“ ანასა და თომასის ურთიერთობა ისეთივე დაფარული სიძულვილით სავსე ხდება, როგორც ავგუსტ სტრინდბერგის „სიკვდილის როკვაშია“. სიძულვილის ნოტებით ივსება მათი დიალოგების ქვეტექსტები, რომლებიც უფრო ღრმავდება და არაფრისმთქმელი, ფერდაკარგული სიტყვებიც ვადაგასული გაცვეთილი მონეტებივით წკარუნობენ.

ანას ბუნება უყვარს, მათი ტბისპირა სახლი მისი ერთგვარი ნავსაყუდელია, სადაც სიმშვიდით ივსება, ენერგიას იკრებს. ყვავილებსაც ხშირად ყიდულობს. ამ თვალსაზრისით, ვირჯინია ვულფის მისის დოლოვეი შეიძლება მოგვაგონდეს. ამ რომანშიც არის ქაოტური ფიქრის ნაკადები, რომლებსაც მარტოსული ანას თვალთახედვის არეში სეირნობისას შემოჭრილი საგნები, ხეები, სახლები იწვევენ: „სეირნობისასა სხვა აღარაფერი აინტერესებდა, ტკბებოდა ხის კენწეროების, ტყის, ბორცვების, მდელოების და ჰორიზონტის ყურებით და თავს შინ გრძნობდა. ისევე, როგორც გაკვეთილის ბოლოს პოულობდა საკუთარ თავს ბახის მუსიკის დაკვრით“. ბახის მუსიკას მოაქვს სწორედ იმ წესრიგის, კოსმოსის შეგრძნება, რასაც იწვევს ადამიანური ურთიერთობების მოუწესრიგებლობა, ქაოსი. ანა ხედავს გაუცხოებულ ადამიანებს, რომელთაც „დაღლილობა ემჩნეოდათ. ჯიბიდან ტელეფონს იღებდნენ და შიგ თავჩარგულნი აგრძელებდნენ გზას“.



ანას ცხოვრებაც იქითკენ მიდის, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს გრეგორ ზამზასავით გაიღვიძებს, როგორც ხოჭო, არც თვითონ და არც თომასს არ გაუკვირდება (კაფკას „მეტამორფოზა“), პირიქით, თომასისთვის ეს შეიძლება ცოლისგან თავდახსნის საუკეთესო გზაც აღმოჩნდეს. ამაზე ირიბად შეიძლება მიანიშნებს ეპიზოდი, როდესაც თომასი ანას სახეზე სიბერის ნიშანს, ნიკაპზე ამოსულ ბეწვს შეამჩნევს. ეს ნიუანსი თითქოს მთლიანად აქრობს სიყვარულის ესთეტიკას, რომელიც რაიმე ნაკლის შემჩნევას და, მით უმეტეს, ამგვარად სააშკარაოზე გამოტანას გამორიცხავს.

რომანის დასაწყისში ერთი მრავალმნიშვნელოვანი დეტალი შესანიშნავადაა დახატული: „ანა იდგა, როგორც მადონას ქანდაკება თავის ნიშაში. იდგა მაყურებლისკენ ზურგით, სახით კედლისკენ. მაგრამ ეს არ იყო კედელი. მოპირდაპირე სახლის რომელიმე ჩაბნელებულ ფანჯარაში ვინმე რომ მდგარიყო, ანას სახეს დაინახავდა. სამხრეთის გამოქვაბულებში მადონას ქანდაკებები მინითაა დაცული, მათ ფერხთით კი პლასტმასის ყვავილები ანყვია“. ეს ერთგვარი სტატიკური, უმოძრაო კადრი მისი ცხოვრების მეტაფორად იქცევა. იგი ხელოვნურ ყვავილებად აღიქვამს თომასის სიყვარულისა თუ პატივისცემის გამომხატველ სიტყვებს, რომელთაც მაცოცხლებელი სითბო და ენერგია გამოცლილი აქვთ. ჩვენ, მკითხველები, ვხედავთ ანას ამგვარად, თავისივე გამოგონილი თუ რეალური ტანჯვისა და ტკივილის ტყვეს, საიდანაც თავდასაღწევი გზა ვერ უპოვია. მის უმწეობას კარგად გამოხატავს დედისთვის დასმული კითხვა: „ერთ დროს ხომ ვიყავი ისეთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ცხოვრებაში მიზანი დაესახა და მიეღწია კიდეც მისთვის?“. დედის თანხმობა მას ძალას ვერ მატებს, რადგან წარსული და აწმყო ერთმანეთს ისე დაშორებია, როგორც ცა და დედამინა.

ანას რუტინული, ერთფეროვანი ცხოვრების კონტექსტში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ჩიტი: „აი, უკვე ოთხი წელია ანა გაკვეთილის ჩატარებისას პატარა ბაღს გასცქერის. ფანჯარა ოდნავ შეღებულია. ერთი ჩიტი ყოველთვის ერთსა და იმავე მუსიკას იმეორებს“. რის გამომხატველი შეიძლება იყოს ეს მუსიკა, თუ არა თავისუფლებისა. ანას სწორედ ეს აკლია–ნამდვილი თავისუფლება. პოლ ვალერის სიტყვები გვახსენდება: „ჩიტივით მსუბუქი უნდა იყო და არა ბუმბულივით“. ერთი შეხედვით, ძლიერი და დამოუკიდებელი ანა სინამდვილეში ბუმბულივით მსუბუქია, გარემოებათა ქარი საითაც დაუბერავს, იქით რომ მიექანება. ეს ყოველდღიური წესრიგი მასში დათრგუნვილობის განცდას ამძაფრებს. ოცწლიანი ქორწინება მისთვის არა მხოლოდ ხორციელად, არამედ, უპირველესად, სულიერად უნაყოფო აღმოჩნდა. ყველაზე სახიფათო კი ისაა, რომ თომასსა და მას შორის გაჩენილი გულგრილობა რაღაც ამოუხსნელ იდუმალ ფუნქციას იძენს. ორივესთვის მოსაწყენია ამგვარი ყოფა, მაგრამ არც გაყრაზე ფიქრობენ. მხილებისა და საკუთარი უსუსურობის აღიარებას გულისხმობს თომასის ასეთი შემფასებლური აღიარება: „სინამდვილეში, – ჩაილაპარაკა მან, – ჩვენ ერთი მოსაწყენი მეშჩანები ვართ“. მეშჩანობა, უპირველესად შეზღუდულ ინტერესებსა და ვიწრო თვალთახედვას გულისხმობს“. ანა მშობლიური ფრანგული კულტურის დახვეწილობითა და სინატიფით ცდილობს თომასის გერმანული პრაგმატულობის დაძლევას, მაგრამ ვერ ახერხებს.

ფინალურ ეპიზოდში მკითხველი გაურკვევლობის განცდით ტოვებს გაუცხოებულ ცოლქმარს. სააღდგომოდ ნაყიდმა იებმა დროებითი სიცინცხლე, სურნელი და ფერადოვნება შემოიტანა ოჯახში. ტბისპირა სახლი კი ისევე მოჩანს, როგორც ზღაპრისეული ილუზია, რომელიც ანასთვის მხოლოდ იმის გამომხატველია, რომ ახლა უკვალოდ გამქრალი სიყვარული ნამდვილად იყო და მისი აკორდების კვალს მეხსიერება ჯერ კიდევ ინახავს.

მაია ჯალიაშვილი

წყარო (გამოქვეყნებულია):
„მასწავლებელი“, 14 აპრილი, 2022,
HTTP://MASTSAVLEBELI.GE

ხელშეკრულება სატანასთან

ჩვენს საზოგადოებაში რომ ფულის კულტია გამეფებული და თავდავიწყებით ეთაყვანებიან მას - ეს არახალია. გასაგებია, რომ სოციალური სიღუხჭირის ფონზე, ადამიანს შია, სწყურია, სწავლა უნდა, გართობა უნდა, ცხოვრება უნდა და არა არსებობა - ამ ყველაფერს კი უზრუნველყოფს ფული, რომლის შოვნაც (მინიმალური ოდენობის) შეუძლებელია საქართველოში. ადამიანს მუშაობა უნდა და არ აქვს გასაქანი, რომ თუნდაც ელემენტარული მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ ყოფითი პრობლემების ფონზე განა გამართლებულია ადამიანის იდეოლოგიური კვდომა და ფასეულობების სრული დეგრადირება? არის თუ არა ფულზე დამონება, პიროვნებაში ყოველგვარი ადამიანურის კვდომის საწყისი? მატერიალური კეთილდრეობისთვის ღირს სულის გაყიდვა?

ინტერნეტმაღაზიების ფუნქცია თითქმის ყველამ იცის. ეს ყველაზე პოპულარული საშუალებაა, სადაც ადამიანს ნებისმიერი ნივთის გაყიდვა უპრობლემოდ შეუძლია. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად სასაციილო ან სამარცხვინო საგნის გაყიდვა შეიძლება მოგვიდეს აზრად, მთავარია ადამიანები დააინტერესო, ყურადღება მიქციო, რის შედეგადაც შეიძლება სრულიად უმნიშვნელო ნივთი სოლიდურ ფასად გაიყიდოს: „სენდვიჩის ყველი რომელიც ათი წლის მანძილზე პატრონის ავტომობილის უკანა სავარძლის ქვეშ იყო სულ რაღაც 28 000 დოლარად გაიყიდა“. აღარავის აღარ უკვირს ის ფაქტიც, რომ გოგონები თავის თავით ვაჭრობენ ზოგი „კოლეჯის გადასახდელ ფულისთვის, „ზოგი სხვადასხვა მატერიალური ნივთის შესაძენად, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სულის გაყიდვა უნდოდათ, ეს იდეა აიტაცა მომხმარებლების უმეტესობამ და უკვე არჩევით ითხოვენ - არავის უნდა ლოთის, ნარკომანის, და ფსიქიური დარღვევითობის მქონე ადამიანთა სულები.

სულების ფასი კატეგორიის მიხედვით იყოფა და ეს რიცხვი 300-2000-4000ს დოლარამდე ადის. მატერიალიზმის საუკუნეში, როდესაც თითქმის ყველაფერს ედება ფასი, ეშმაკისთვის ადამიანის მოხიბვლა არ უნდა წარმოადგენდეს დიდ წვალებას. თავად რიტუალის შესახებ- როგორ ხდება იგი? სულის ყიდვა-გაყიდვის პროცედურა ერთი დიდი მისტიური მოვლენაა, რომელიც საგანგებო შენობაში ტარდება. მყიდველი სპეციალური ბალახეულის კვამლით ავსებს ოთახს, შემდეგ გამყიდველს მარცხენა ხელზე ადებს სამკუთხედ დამღას და ხელშეკრულებას რამდენიმე წვეთი სისხლით „დამღიანი ხელიდან გამონადენით“ ამყარებს. ასეთი ოფისები მრავლადა რუსეთის ქალაქებში: მოსკოვში, პერმში, ბალტიისპირეთში, რიგაშიც კი სულის გამყიდველების რიგი დგას. სასულიერო პირები აღშფოთებულები არიან, მათ არაერთხელ მიმართეს სამართალდამცველებს, თუმცა ამაოდ. კანონი სულებით ვაჭრობას არ კრძალავს. უმეტესობა ამ შეთანხმებაზე ფულის გამო მიდის. 21-ე საუკუნის ადამიანი პრაგმატულად მოაზროვნეა, აკეთებს მხოლოდ იმას, რაც სჭირდება, რადგან ვიღაცა ფულს იხდის სულში, ესე იგი სჭირდება კიდეც. ამას ამქვეყნიურ მოგებასთან საერთო არაფერი აქვს, საქმის არსი ხომ იდეაა. მათ მხოლოდ სჭირდებათ, რომ ადამიანებმა ხელმოწერით დაადასტუროს სულის გაყიდვა და ამაში ფულსაც იხდიან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იმის შესაფასებლად, თუ როგორ დაეცა მსოფლიო საზოგადოება. 2.000 დოლარად სულის გაყიდვა! ამასაც მოვესწარით! ეს არის ხელშეკრულება თავად სატანასთან, რომლისგანაც თავის დახსნა ფაქტობრივად, შეუძლებელია.

რამდენჯერ მინატრია, ნეტა ადამიანები ერთმანეთის სულს ხედავდნენ და შეუძლებელი იყოს რამეს დამალვა მეთქი. მართლა კარგი იქნებოდა. ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეოდა ყველაფერი. ან საბოლოოდ
დაიღუპებოდა ადამიანი, ან საბოლოოდ გადარჩებოდა...
/ჯემალ ქარჩხაძე/

შემზარავი ფაქტია, ალბათ დამეთანხმებით. ამის ფონზე კი ბუნებრივად ჩნდება კითხვა-ნეტავ რამდენი სულგაყიდული ადამიანია დედამიწაზე? მსოფლიოში არსებულ რეალობას თუ გადავხედავთ, არც თუ ისე ცოტა...

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

სუპერმარკეტების შემოსავლები რეკორდულად გაიზარდა – უმსხვილესი კომპანიების რეიტინგი

თიბისი კაპიტალის სწრაფადბრუნვადი სამომხმარებლო პროდუქციით ვაჭრობის სექტორის (FMCG) განახლებული მიმოხილვის თანახმად, პანდემიურ პერიოდში, 2020 წელს, სექტორი რეკორდული 26%-ით გაიზარდა, 2021 წელს კი 22%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა.

საერთო ჯამში, 2021 წელს FMCG სექტორის (კვების და სწრაფი მოხმარების პროდუქციის) შემოსავლებმა 13.9 მილიარდ ლარს მიაღწია. ანალიტიკოსების შეფასებით, ზრდის მამოძრავებელი ძირითადი ფაქტორები მოსახლეობის დანახარჯების და ინფლაციის დონის ზრდაა.

თიბისი კაპიტალის პროგნოზით, FMCG სექტორის ზრდა, ინფლაციის დონის შემცირების ფონზე, მომავალში შედარებით დასტაბილურდება. მოკლევადიან პერსპექტივაში, მოსალოდნელია სურსათი და საკვები პროდუქტების ფასების ზრდა, განსაკუთრებით იმ კატეგორიის პროდუქტებზე, რომელთა წარმოებაც რუსეთზე, უკრაინასა და ბელარუსზეა დამოკიდებული.

სწრაფადბრუნვადი პროდუქციის ბაზრის უდიდესი ნაწილი ისევ არაორგანიზებულია, თუმცა 2021 წლის მონაცემებით, ორგანიზებული ბაზრის წილმა საქართველოში რეკორდულ 31%-ს მიაღწია.

გასულ წელს ორგანიზებული ბაზრის შემოსავლები 31%-ით, 3.7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა - შემოსავლების 85% შვიდ მსხვილ კომპანიაზე ნაწილდება. 2021 წელს დაფიქსირებული ზრდის მამოძრავებელ ძირითად ფაქტორად ანალიტიკოსები ახალი ფილიალების გახსნას ასახელებენ.

2021 წლის ბოლოს, FMCG ბაზარი 1700-ზე მეტი ობიექტით იყო წარმოდგენილი, რაც წლიურად 28%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ჯამური სავაჭრო ფართობი, 2021 წლის განმავლობაში, 25%-ით გაიზარდა, რამაც მაღაზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად, საშუალო სავაჭრო ფართის შემცირება გამოიწვია.

FMCG სექტორის ორგანიზებული ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით:

„ნიკორა“ — ბაზრის 17.9%;
„ორი ნაბიჯი“ — 15.9%
„სპარი“ — 15.8%;
„კარფური“ — 15.0%;
„მაგნიტი“ — 12.6%;
„გუდვილი“ — 4.5%;
„აბროჰაბი“ — 4.1%;
სხვა — 14.3%.

თიბისი კაპიტალის შეფასებით, FMCG სექტორის საშუალო მომხმარებელი ახალგაზრდავდება. 2021 წლის განმავლობაში, ყველაზე აქტიური მომხმარებლის ასაკმა 30-39 წელი შეადგინა. ბოლო 3 წლის განმავლობაში, მზარდია 19-29 წლის მომხმარებლების წილიც. თუმცა, ახალგაზრდა მომხმარებლები თითოეულ ვიზიტზე დაბალი დანახარჯით ხასიათდებიან. საპირისპიროდ, მიუხედავად ვიზიტებში ყველაზე დაბალი წილისა, ასაკიანი მომხმარებლები თითო ვიზიტისას, ყველაზე მეტს ხარჯავენ.

გლობალური ტენდენციის მსგავსად, ქართულ FMCG სექტორში ელექტრონული კომერციის წილი იზრდება. ასევე, ქართული FMCG ბაზრის მოთამაშეების 80% მომხმარებლებს შიდა რესურსით ან მესამე მხარის ჩართულობით, ადგილზე მიტანის მომსახურებას სთავაზობს.

ზელენსკი – მარიუპოლის ბლოკადის მოხსნა სამხედრო გზით ახლა შეუძლებელია

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ამ დროისთვის უკრაინის შეიარაღებულ ძალებს მარიუპოლის ბლოკირების სამხედრო გზით მოხსნა არ შეუძლიათ. ამის შესახებ მან ფრანგულ ტელეარხთან საუბრისას განაცხადა - წერს Unian-ი.

ზელენსკის თქმით, უკრაინის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მარიუპოლის განბლოკვა მოხდეს.

„არ ვიცით რამდენ საათს, თუ დღეს შეძლებენ ისინი (მარიუპოლის ბლოკადაში მოქცეული მოქალაქეები) გაძლებას. რაც შეეხება ჩვენს არმიას - მარიუპოლში ბლოკირების მოხსნა რომ შევძლოთ, საჭიროა, ამ ოკუპირებული 120 კილომეტრის გავლის შესაძლებლობა გვქონდეს, რის საშუალებასაც დღეს რუსეთის ტექნიკა არ გვაძლევს. ეს სიმართლეა. დღეისთვის ამის გაკეთება არ შეგვიძლია“, - განაცხადა ზელენსკიმ.

პრეზინდეტს მიაჩნია, რომ რუსეთის მიერ მარიუპოლის ბლოკირება ომს კი არა, ტერორისტულ ოპერაციას უფრო ჰგავს, რადგან ქალაქში უკრაინის დამცველების გარდა ქალები და უფროსი თაობის ადამიანები იმყოფებიან. **„იქ შენობების 95-98% განადგურებულია“,** - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა და განმარტა, რომ საუბარია სკოლებზე, ბაღებზე, საცხოვრებელ უბნებზე, ქარხნებზე.

დღეს რუსულმა გამოცემებმა გაავრცელეს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოხსენება რუსეთის პრეზიდენტისადმი, რომლის მიხედვითაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მილიციამ „მარიუპოლი გაათავისუფლეს“. უკრაინული სამხედრო დანაყოფების დარჩენილმა შემადგენლობამ კი „აზოვსტალის“ ქარხანას შეაფარა თავი, რომელთა საერთო რაოდენობა 2 ათასამდეა. რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შაიგუს ცნობით, მარიუპოლში სამუშაოების დასრულებისთვის საჭიროა 3-4 დღე. ამავე დროს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუს სამხედროებს მარიუპოლში „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე შეჭრა აუკრძალა და მისი ბლოკირების ბრძანება გასცა.

რუსთაველის ქუჩას მალე განახლებული რეკრეაციული სივრცე დაამშვენებს

ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე რეკრეაციული ბაღი ერთ დროს ყველაზე საყვარელი ადგილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ის გამოირჩევა იშვიათი ჯიშის ხეებით და დეკორატიული ბუჩქებით, რომელიც 50-იან წლებში გაშენდა და ყველაზე აქტიურ რეკრეაციულ სივრცედ ითვლებოდა, ის ისტორიას „სტალინის ბაღის“ სახელწოდებით შემორჩა. დღეს ამ ბაღს თმარ მეფის სახელი ჰქვია, თუმცა მის დამსახურებას ნამდვილად არ შეჰფერის ის ვითარება, რაც აქ არის. ჩაბნელებულ ბაღს იშვითად თუ ვინმე სტუმრობს, რადგან დამტვრეული და განადგურებულია დასასვენებელი სკამები და ლამპიონები. დაზიანებულია სანაგვე ურნები. მის გაგრძელებას წარმოადგენს მერიის შენობის წინ მდებარე მომცრო სკვერი ტანმაღალი მარადმწვანე ხეებით და ასევე, ამორტიზებული, უფუნქციო შადრევნით. ამ სივრცეებს ახალი სიცოცხლე სჭირდება, რომ დაიბრუნოს ძველი სტატუსი და იქცეს ახალი მიზიდულობის ადგილად როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე, ვიზიტორებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამაში და პროექტის „საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (ENPARD III)“ - ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად მიიღო დაფინანსება.

პროექტის - „ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ბაღის და მიმდებარე სკვერის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-რეაბილიტაცია ეკომეგობრული მიდგომებით“ - მიზანია ამორტიზებული ცენტრალური ბაღის და მიმდებარე სკვერის სრული მოდერნიზაცია და ამ სივრცეებისთვის ეკომეგობრული, მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცის სტატუსის მინიჭება, რაც მას დაუბრუნებს სიცოცხლეს და აქცევს მრავალმხრივად აქტიურ ზონად.

გამოცხადებული ტენდერის შედეგად უკვე შეირჩა კომპანია, რომელიც პროექტის ტექნიკურ დეტალებსა და დიზაინზე იმუშავებს, ცოტა ხანში კი დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიის მიერ.

ПРОЕКТИС САРЕАБИЛИТАЦИО САМУШАОЕБИС ДАСРУЛЕБИС შემდეგ, სახემწიფო სოცილური დასაქმების პროგრამის ფარგლებში, დასაქმდებიან ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძველესი და ახლად რეაბილიტირებული ცენტრალური ბაღის და სკვერის ტექნიკურ მოწყობილობების და ინვენტარის დაცვა-მოვლასა და დასუფთავებაზე, საზოგადოებრივი ტუალეტის მომსახურებასა და სანიტარიულ-ჰიგიენური პიროგების დაცვაზე;

ანა ბენაშვილი,
დედოფლისწყაროს მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში

მონატრება

ილიკო შარვაძე

გაიღვიძა ზამთრის სუსხით მიძინებულმა ბუნებამ. დადგა წლის ყველაზე ლამაზი დრო-გაზაფხული, რომელიც სილამაზით ქარგავს ირგვლივ ყველაფერს და ხალისით ავსებს ადამიანის გულს. ბუნების ამ ზეიმს გვირგვინად ადგას დიდი სასწაული - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ძვირფასია ყველა ქრისტიანისთვის. უკვე მეათე გაზაფხული და მეათე აღდგომა მოვიდა უშენოდ, ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო დედისერთა ბიჭო. შენი უბედური დედა გილოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. „ქრისტე აღდგა“, ჩემო ილიკო, მაგრამ რა ქნას დედამ, რომ ვერ მოისმინა შენგან-ჭეშმარიტადო!

ძალიან გიყვარდა გაზაფხული და სიცოცხლე, მაგრამ არ გაცალა განგებამ. წახვედი და დამიტოვე სამუდამო დარდი და ნაღველი. მეათე გაზაფხული მოვიდა, როგორ ვიფიქრებდი, რომ ამდენ ხანს უშენოდ ვიცოცხლებდი, ეს ხომ დიდი სატანჯველია ჩემთვის. ტკივილი, რომელიც შენმა სიკვდილმა განმაცდევინა, არ ყუჩდება, ჭრილობა შეიძლება შეხორცდეს, მაგრამ ნაიარევი არასოდეს ქრება. სულ ყურში ჩამესმის შენი საუბარი, შენი ხმა, შენი მომართვა „დე“, ჩემთვის მოსასმენად გახდა სანატრელი. მეათე წელია, შენს დედას ენატრება ამ სიტყვის გაგონება.

ყოველ აღდგომის დღეს, ან სხვა დღეებში, როდესაც მე თბილისში არ ვიყავი, მირეკავდი და მეუბნებოდი, - „დე, შენ არაფერზე არ ინერვიულო, მე უკვე მოვედი მამას საფლავზეო“. დედას ყოველთვის და ყველაფერში ჰქონდა შენი იმედი, მაგრამ უკვე მეათე წელია, რაც მე გადმომაბარე ეს მოვალეობა და ორმაგი ტვირთით დამიმძიმე ისედაც მძიმე ცხოვრება.

აღდგომის მეორე დღეს აღნიშნავენ მიცვალებულთა ხსოვნის დღეს, მაგრამ შვილმკვდარ დედას რაში სჭირდება განსაკუთრებული დღე, ვინ დაუწესებს ამ დღეს შვილის მოსახსენებლად?! დედის სიცოცხლის ყოველი წამი ხომ შვილის ხსოვნას ეძღვნება. რამხელა იმედი იყავი, ჩემო ილიკო, დედისთვის და რამხელა ტკივილი ხარ ახლა.

ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო ბიჭო, გული მონატრებით და ტკივილით მაქვს სავსე. შენ კი შენს საყვარელ მამასთან ხარ ზეციურ სასუფეველში და იქ ერთად შეხვდებით ამ დღესასწაულს. ბადრი, მართალია შენც ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან, 49 წლის ასაკში, მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ, რომ ვერ მოესწარი შენი შვილის გარდაცვალებას და დღეს კი, შენს საყვარელ შვილთან ხარ, ჩემგან განსხვავებით.

ჩემო ილიკო, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ მანდ არაფერი მოგაკლდეს და ისევე უზრუნველი და ბედნიერი იყო შენს მამასთან, პაპა-ბებიასთან, როგორც აქ იყავი.

მე დიდი მოვალეობა მაქვს თქვენს წინაშე, რათა მოვიგონო ჩემი საყვარელი ქმარ-შვილი, ჩემი მშობლები და პატივი მივაგო თქვენს ხსოვნას. ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა მარადიულ სასუფეველში. კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი.

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

და-მარინა პოპიაშვილი, დეიდაშვილები, ბიძაშვილის შვილები, მამიდები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გია პოპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 14 აპრილს ქ.დედოფლისწყაროში.

ევროპის იმუნიზაციის კვირეული 26 აპრილი - 2 მაისი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონი 26 აპრილი —2 მაისს, აღნიშნავს იმუნიზაციის მე —16 ევროპულ კვირეულს (EIW). კვირეულის ფარგლებში აღინიშნება რუტინული ვაქცინაციის წვლილი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ასევე, აქცენტი გაკეთდება COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საშუალებაზე, რომელიც დაგვეხმარება პანდემიის დასრულებაში.

საქართველო უერთდება ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნებს და კვირეულის ფარგლებში კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსახლეობას თუ რა მნიშვნელობა ენიჭება იმუნიზაციას მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის:

•ვაქცინაცია გვეხმარება

*თავიდან ავიცილოთ ისეთი დაავადებები, რომლებმაც შეიძლება ბავშვის გარდაცვალება გამოიწვიოს ან შეუქცევადი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მის მომავალზე

*ჯანმრთელი ოჯახების და ჯანმრთელი სიბერის უზრუნველყოფაში

*თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა სახეობის კიბო

* შევამციროთ ანტიმიკრობული რეზისტენტობის საფრთხე.

•COVID-19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

•COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია პანდემიის დასრულების ეფექტური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საშუალებაა. არავინ არის დაცული მანამ, სანამ ყველა არ იქნება დაცული.

•წითელას შემთხვევები 2020 წელს განსაკუთრებით დაბალი იყო. ამ წარმატების შესანარჩუნებლად აუცილებელია რუტინული ვაქცინაციით მაღალი მოცვა.

•COVID-19 პანდემიამ დაგვანახა იმუნიზაციის მნიშვნელობა - მოდით სრულად გამოვიყენოთ იმუნიზაციის არსებული პოტენციური სარგებელი.

*თუ COVID-19-ის პანდემიის გამო, უგულვებელვყოფთ/ დავივიწყებთ რუტინულ იმუნიზაციას, მიღებული შედეგები პანდემიის დასრულდების შემდგომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეგვიქმნის პრობლემებს.

•ზოგადად ჯანმრთელობის დაცვა / ჯანმრთელობის სრული დაცვა

*რუტინული ვაქცინაციის სერვისები უნდა შენარჩუნდეს პანდემიის დროსაც - ყველა ბავშვს აქვს უფლება იყოს ჯანმრთელი!

*გახდი გმირი, ჩაიტარე ვაქცინაცია შენთვის, შენი ოჯახისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.

*იმუნიზაცია ევროპის ქვეყნების არჩევანი და ჯანდაცვის ფლაგმანი პროგრამაა.

*იმუნიზაცია სიცოცხლის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო არჩევანია.

*ისინი, ვინც ვაქცინაციის მიღებისას ბარიერებს აწყდებიან, ხშირად არიან სწორედ ის ადამიანები, რომლებშიც უმეტესწილად ვითარდება დაავადების ყველაზე სერიოზულ გართულებები.

სოციალური მედია

1.ვაქცინაცია გვაახლოებს ჯანმრთელობის უნივერსალურ დაცვასთან

ვაქცინებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა ადამიანების ჯანმრთელი მომავლისა და ვაქცინით მართვადი დაავადებებისგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

2.ვაქცინაცია გვაახლოებს უფრო სამართლიან სამყაროსთან

ვაქცინაციამ შეიძლება დაგვაახლოვოს მომავალთან, რომელიც სასურველი და სამართლიანი იქნება ყველასთვის!

3.ვაქცინაცია გვაახლოებს მეგობრებთან, ახლობელთან. მათი არსებობა ცხოვრებას დაუვიწყარ მოგზაურობად აქცევს.

4.ვაქცინაცია გვაახლოვებს პანდემიებისგან თავისუფალ სამყაროსთან

ათწლეულების განმავლობაში მეცნიერების მიერ ვაქცინაციის მიმართულებით ჩატარებული კვლევებისა და მიღწევების წყალობით, ჩვენ უკეთ ვართ მომზადებული გავუმკლავდეთ ეპიდემიას.

5. ვაქცინაცია გვაახლოებს ოჯახთან

ვაქცინაცია გვეხმარება დავასრულოთ პანდემია, რათა კვლავ შევძლოთ ერთად ყოფნა.

6. ვაქცინაცია გვაახლოებს მსოფლიოში პოლიომიელიტის აღმოფხვრასთან

ვაქცინების წყალობით, პოლიომიელიტის შემთხვევები გლობალურად ყოველწლიურად შემცირდა რამდენიმე ასეულამდე. ახლა გვაძვს შანსი, ამ და სხვა მომაკვდინებელი დაავადებების საფრთხე ჩავაბაროთ ისტორიას.

#დაცულებიერთად

უმძრახის წყალი

- წინავ, შვილო, დიდ ხუთშაბათ დღეს, უმძრახის წყალი უნდა მოგვეტანა. ოჯახის რომელიმე წევრი დილით ადგებოდა, სახლში არავის ხმას არ გასცემდა, წყაროზე წავიდოდა და მანამ იქიდან სახლში წყალს არ მოიტანდა, არც გზაზე და არც წყაროზე, არავის დაელაპარაკებოდა. აეგე უმძრახად უქცევდნენ ერთმანეთს გვერდს სოფლიდან წყაროსკენ და წყაროდან სოფლისკენ მიმავალი ხალხი ერთურთს. მაშინ ჯეელი ვიყავ და ე ჩემი ბებერი მყანდა გულში ჩავარდნილი - ცეცხლისპირას ჩამომჯდარ ბებიაზე მანიშნა პაპამ და ულვაშებში ჩაიღიმინა.

- რაებს ასწავლი ე ბალღებს შენა, ჰა?! - შემოუტია ბებიაჩემმა პაპას.

- აეგრეა, ამის ხელში მთელი ცხოვრება უმძრახად ჩამოვაღამე, არაფერზე არ მალაპარაკებს. - შემომჩივლა პაპამ.

-ერთი იმ დიდ ხუთშაბათს არ ლაპარაკობდი და მეორე ეხლა, შენმა მზემ! - თავი იმართლა ბებიამ.

- ჰო, იმას გიყვებოდი, ავდექ იმ დილას და უმძრახი წავედი წყაროზე. ე ჩვენი ბებერი მეორე სოფელში ცხოვრობდა და ჩვენ და ამათ ერთი წყარო გვქონდა. შავიყარენით წყაროზე, ვუყურებთ ერთურთსა, არც ეს იღებს ხმას, არც მე, უმძრახები ვართ. რა ვიცი, ეტყობა ორივეს გვეშინია ჯალაფთი, რო გაგვიგონ, რო დავილაპარაკეთ და ისე მივიტანეთ წყალი სახლში, ერთ ამბავს გვიწევენ. თანაც ორივეს გვჯერა, რომ ამ წელიწადს უბედურება დაგვატყდება, უმძრახის წყალი რომ არ მივიტანოთ სახლში. გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ენას კი კბილს ვაჭერ, რომ უნებლიე სიტყვა არ ამოაფრინოსრა ჩემი პირიდან. ავავსეთ თუნგები. ვდგევართ და შევყურებთ ერთმანეთს. ჯერ ეს გაბრუნდა თავისი სოფლისაკენ და ცოტა ხნის მერე მე წამოვედი ჩვენი სოფლისაკენ. ცოტა გზა რომ გამოვიარე, გულმა აღარ მომითმინა, მივიხედ— მოვიხედე და რო დავრწმუნდი ახლომახლო არავინ იყო გავძახე: - სალომე! გავძახე და ე ჩემი ბებერიც შადგა. ხმა კი არ გამცა ისე შადგა.

- საღამოს სად შევხვდეთ, სალომე? - გავძახე.

- კაკალთან! - მომაძახა და ისე გაიქცა სოფლისაკენ, თითქოს ჩემი შეეშინდა, ემანდ ხმა არ ამომაღებინოსო.

- თორე, შენმა მზემ, არ ამომაღებინე! - წამოაყვედრა ბებიამ.

- რავი, მაშინ კი ისე გარბოდი რო! - ჩაიცინა პაპამ.

- მერე არ შეგეშინდა? - ვკითხე პაპას.

- რისა? - სახლში უმძრახის წყალი არ მოიტანე, ამიტომ ხო შეიძლება უბედურებას გადაჰყროდი.

- აკი გადავეყარე! - თქვა პაპამ და სიცილით გადახედა ბებიას.

- ი! - აღმოხდა ბებიას და სამხრობამდე აღარც დალაპარაკებია პაპას.

გოდერძი ჩოხელი

ულოცავენ!

ნუგზარ პაპიაშვილს !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** და მერია საკრებულოს თავმჯდომარეს, **ნუგზარ პაპიაშვილს** ულოცავს მეშვიდე შვილიშვილის დაბადებას. პატარა **მატასს** ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარეს, **ნუგზარ პაპიაშვილს** ულოცავს შვილიშვილის დაბადებას, პატარა **მატასს** უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ პაპიაშვილს, ულოცავს, მეშვიდე შვილიშვილის, **მატასის**, შეძენას. უსურვებს პატარას ბედნიერ და ლაღ მომავალს.

ქეთა ყანჩაშვილს!

ჩვენო საყვარელო, თბილო, კეთილო და ჭკვიანო გოგო, გილოცავთ დაბადების დღეს. 5 წელია რაც ჩვენს ცხოვრებას ათბობ, აფერადებ და აზრს მატებ. შენი დადებითი მუხტი ყოველთვის დადებითად განაწყობს სხვასაც.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, წინსვლას, წარმატებასა და იმ ბედნიერების ნაპერწკალის შენარჩუნებას, რომელიც ახლა გიბრწყინავს თვალებში.

სიყვარულით,
შენი მშობლები - გიორგი და თიკო, პაპა-ბებო
ზაზა და ლალი, მამიდები - თამარი და ჟუჟუნა.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ფუტკრის ლაფეტი რუსული სკებით და ყველა საჭირო ინვენტარით.
მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე.
ტელ: 595 14 51 10

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 25.04	სამშაბათი 26.04	ოთხშაბათი 27.04	ხუთშაბათი 28.04	პარასკევი 29.04	შაბათი 30.04	კვირა 01.05
დღე	24°	23°	24°	24°	24°	23°	22°
ღამე	11°	11°	11°	12°	13°	12°	11°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.